დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით

ეკონომიკის ინსტიტუტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) „ეკონომიკის ინსტიტუტი“ (შემდგომში - „ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

1.2. ინსტიტუტი ექვემდებარება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

1.3. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

1.4. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ინსტიტუტის სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებებს და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.5. ინსტიტუტი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას წარმოადგენს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს და უნივერსიტეტს.

1.6. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ამოცანები და უფლებამოსილება

2.1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება.

2.2. ინსტიტუტის ამოცანებია:

ა) ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელი კვლევების განხორციელება და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) ეკონომიკური პროფილის სახელმძღვანელოების გამოცემა;

გ) კვლევების შედეგების საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში განთავსება;

დ) უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი რეიტინგის ამაღლების ხელშეწყობა.

2.3. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და ა.შ.).

2.4. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:

ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის ფუნქციები

ინსტიტუტი:

ა) ახორციელებს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევებს ეკონომიკის დარგში;

ბ) ახდენს სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის კონცენტრაციას ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემატიკაზე;

გ) ამუშავებს ეკონომიკურ კონცეფციებს, პროგნოზებს, ინდექსებს, პროექტებს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გზით;

დ) შეიმუშავებს მეცნიერულად დასაბუთებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის;

ე) თანამშრომლობს საქართველოს და საზღვარგარეთის შესაბამის სამთავრობო, არასამთავრობო, სამეცნიერო, სასწავლო და სხვა სახის დაწესებულებებთან;

ვ) მეცნიერული მუშაობის გააქტიურების მიზნით უნივერსიტეტში აწყობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სესიებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს, დისპუტებსა და კონსულტაციებს;

ზ) ადგენს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმას და აწარმოებს სამეცნიერო გამოკვლევებს როგორც უნივერსიტეტის დაკვეთის მიხედვით, ისე სახელშეკრულებო საფუძველზე;

თ) ზრუნავს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართვაზე სამეცნიერო კვლევებში.

მუხლი 4. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და მართვა

4.1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი. ის კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას ეკონომიკის მიმართულებით.

4.2. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურას წარადგენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი და ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

4.3. ინსტიტუტის დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

4.4. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) კოორდინაციას უწევს და წარმართავს ინსტიტუტის საქმიანობას, უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას და პასუხისმგებელია ინსტიტუტზე დაკისრებული მიზნების მიღწევაზე, ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

თ) სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ი) სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის მონაწილეობას სამეცნიერო და საგრანტო პროექტებში;

კ) სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან შეთანხმებით, ქმნის საუნივერსიტეტო აკადემიური ჟურნალების რედაქციას;

ლ) ხელს უწყობს ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით პროცესს;

მ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ნ) სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან შეთანხმებით, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობებში;

ი) ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დავალებებს.

მუხლი 5. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

5.1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

5.2. ინსტიტუტის ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

6.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

6.2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.